თემა 12

ტანსაცმელი

Одежда

ამოცანები:

- ტანსაცმელთან დაკავშირებული საბაზისო ლექსიკის ათვისება

კონკრეტული ამოცანები

- სხვადასხვა ტანსაცმლის დაკავშირება სხეულის ნაწილებთან;
- ტანსაცმლის დაკავშირება ამინდსა და ტემპარატურასთან;
- ტანსაცმლის დაკავშირება სხვადასხვა სიტუაციებთან
- ტანსაცმლის ჩაცმასა და ტარებასთან დაკავშირებული ენობრივი ინსტრუქციების ათვისება;
- ტანსაცმლის აღწერისათვის ზედსართავი სახელების სწორად გამოყენება

არსებითი სახელები: სამოსი	**კაბა, შარვალი, მაისური, სვიტრი, ქუდი, შარფი, ქურთუკი, ხელთათმანი**
ზმნები:	ჩაიცვი, დაიხურე, გაიკეთე,
გამოყენებული ლექსიკა	კონკრეტული გამოთქმები/ფრაზები
მაღაზია ტანსაცმელი სამოსი კაბა შარვალი მაისური სვიტრი ქუდი ქურთუკი, ხელთათმანი	ჩაიცვი გაიკეთე დაიხურე მოიზომე გიხდება ეს ფერი მომწონს ეს ფერი გიხდება ეს შენი ზომაა მოგერგება საყიდლებზე წავედი

აქტივობა 1: ერთად წავიკითხოთ -

ტექსტი სამოსზე, რომელსაც მასწავლებელი გააცნობს ბავშვებს:

დედამ სიმონი და სალომე ტანსაცმლის მაღაზიაში წაიყვანა. დედამ ბავშვებს სთხოვა, რომ თავად აერჩიათ ტანსაცმელი.

- ისეთი სამოსი ვიყიდოთ, რომელიც თქვენ თვითონ მოგეწონებათ - უთხრა დედამ ბავშვებს.

სალომეს ბევრი ძებნა რა დასჭირდა. უცებ აირჩია მაისური.

- დედა, ნახე როგორი ლამაზი მაისურია! ვარდისფერია და ჩემი ზომა უნდა იყოს - აჩვენებს სალომე დედას საკიდზე დაკიდულ მაისურს.
- დედა, ნახე, როგორი ლამაზი წითელი კაბაა! ჩემს წითელ ფეხსაცმელს ძალიან მოუხდება - აჩვენეს სალომე დედას საკიდზე დაკიდულ მაისურს.
- დედა, ნახე როგორი ლამაზი ქურთუკია! თან თბილია, ზამთარში არ შემცივდება.

სიმონისთვის სამოსი დედამ თავად აირჩია.

- ეს შარვალი მოგწონს? უნდა მოგიხდეს. თანაც ლურჯია, შენი საყვარელი ფერი.
- ეს პერანგიც ლამაზია. აბა, მოიზომე!
- ეს სვიტრიც და ქურთუკიც მოიზომე!

სიმონმა სამოსი მოიზომა. ყველაფერი მისი ზომა აღმოცნდა.

სალომემაც მოიზომა ტანსაცმელი და თავისი ზომაც აირჩია.

დედა და ბავშვები ახალი ტანსაცმლით დაბრუნდნენ.

აქტივობა 2 - ლექსიკის გააქტიურება და ზმნასთან დაკავშირება

მასწავლებელი იყებენს ბარათებს და ბავშვებს რიგრიგობით და ეკითხება:

- ამ სამოსს რა ჰქვია?
- ეს არის კაბა
- ამ სამოსს რა ჰქვია?
- ეს არის შარვალი
- ამ სამოსს რა ჰქვია?
- ეს არის მაისური
- ამ სამოსს რა ჰქვია?
- ეს არის ქურთუკი.

ამასთან, ბარათები დაფაზე დაამაგრეთ. ბავშვებს სთხოვეთ, რომ სწრაფად დაასახელონ ის სამოსი, რომელსაც ხელის შეეხებით.

ახლა სთხოვეთ ბავშვებს, რომ თვალები დახუჭონ. თქვენ კი სწრაფად მოხსენით ერთერთი ბარათი.

ბავშვებთა სწრაფად უნდა დაასახელონ ის სამოსი, რომელიც დაფაზე აკლია.

აქტივობა 3: რა აცვია?

სთხოვეთ ერთ მოხალისე გოგონას და ერთ ბიჭს, რომ ოთახის შუაში გამოვიდნენ.

მიუთითეთ ბავშვის სამოსზე და იკითხეთ კლასში:

რა აცვია ანოს?

შეცვალეთ მოხალისეები რამდენჯერმე, სანამ ყველა მოხალისე არ გამოვა.

აქტივობა 4: რა ფერია მანოს კაბა? რა ფერია ვანოს შარვალი?

დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები, რომლებზეც მოცემულია გოგონა და ბიჭუნა, და ასევე ცალკეული სამოსი. სთხოვეთ, რომ გააფერადონ სამოსი იმ ფრად, როგორც მოეწონებათ. გაფერადების მომენტში იარეთ მოსწავლეებს შორის შორის და ეცადეთ, რომ ასაუბროთ ისინი საკუთარი არჩევნის შესახებ.

- რა ფერია მანოს კაბა?
- რა ფერია ვანოს შარვალი?
- რატომ?

აქტივობა 5 - ტანსაცმლის დანიშნულება

ამუშავეთ ბავშვები იგივე სამუშაო ფურცელზე და სთხოვეთ მათ, გამოჭრან გოგონას და ბიჭის ფიგურები, ასევე სამოსი, რომელიც გააფერადეს და თითოეულ ფიგურას ჩააცვან ის სამოსი, რომელიც მიაჩნიათ, რომ უნდა ჩააცვან.

სამოსი შეუძლიათ, რომ მშრალი წებოთი მიაწებონ.

- ახლა კი, ამუშავეთ ბავშვები წყვილებში, სადაც ერთი გოგონას, ხოლო მეორე ბიჭის ფიგურის შესახებ ბავშვები გააკეთებენ დასკვნებს:

მანოს აცვია კაბა, რადგან ის გოგონაა.

მანოს აცვია მწვანე კაბა, იმიტომ რომ მე მწვანე კაბა მომწონს.

ვანოს აცვია შარვალი, რადგან ის ბიჭია.

ვანოს აცვია წითელი შარვალი, რადგან მე წითელი შარვალი მომწონს.

მანოს აცვია ლურჯი შარვალი, რადგან მე ის მომწონს.

აქტივობა 6 – სად მაცვია?

გააკარით დაფაზე პოსტერი და დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცელი, სადაც მოცემულია სხვადასხვა ტანსაცმელი და სხეულის ნაწილები.

გამოსწიეთ ბავშვებისკენ ხელთათმანიანი ხელები და ჰკითხეთ:

- რა მაცვია?

- სად მაცვია?
- ახლა აჩვენეთ საკუთარი ქვედა ბოლო , კაბა, შარვალი
- რა მაცვია?
- სად მაცვია?

სთხოვეთ მოსწავლეებს იმუშავენ ინდივიდუალურად საკუთარ ფურცლებზე და შეაერთონ სხეულის ნაწილი შესაბამის ტანსაცმელთან. ამასთან გამოიყენეთ ბავშვების ქუდები, ხელთათმანები, კაშნეები შეძლებისდაგვარად.
ბოლოს დააყენეთ ბავშვები წრეში და რიგრიგობით აარჩევინეთ ერთმენეთი, რომ თქვან, რა აცვიათ და სად აცვიათ.

აქტივობა 7 - ცივა -ცივა - ჩაიცვი,

აჩვენეთ ბავშვებს სპეციალური ვიდეო კლიპი და კარაოკესთან ერთად ამღერეთ
ცივა - ჩაიცვი - ცხელა - გაიხადე.
სიმღერა:
ცივა - ცივა - ცივა;
ჩაიცვი!
ცივა - ცივა -ცივა
ქურთუკი!
ცივა - ცივა - ცივა
გაიკეთე!
ცივა - ცივა - ცივა
შარფი
ცივა - ცივა - ვიცა
დაიხურე
ცივა - ცივა - ვიცა
ქუდი
მიეცით კარაოკეს რეჟიმი ისე, რომ ბავშვებმა შეძლონ წინასწარ დაასახელონ ქურთუკი, შარფი და ქუდი.

რესურსები:

4 სამუშაო ფურცელი